№ 130

კვირა, 18 ივნისი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

№ 130

კვირა, 18 ივნისი, 1900 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**ტფილისის ნაფიცნი ვექილნი და მათნი თანაშემწენი** აცხადებენ, რომ ორშაბათს, 19 ივნისს, ნაშუადღევის პირველ საათზედ, სასამართლოს დაწესებულებათა შენობაში მათის ამხანაგის განსვენებულის

**გაბრიელ სულხანის ძის ცერ-სცვავანოვის**

სულის მოსახსენებლად პანაშვიდია დანიშნული. (1—133—1)

**იყიდება კუკიის გაჯი.**

ეს გაჯი ყველა სხვა გაჯსა სჯობია სითეთრით, სიმაგრით და სისუფთავითაც.

ბევრმა არ იცის ესა და ყიდულობს სხვა გაჯს, რომელიც რამდენისამე კაპეიკით უფრო იაფადა ჰღირს. რათა შემდეგში მუშტარი არ მოტყუვდეს, იმ პოვოსკებს, რომლითაც კუკიის გაჯსა ჰყიდიან, ქისტი ექმნება მიკრული ამნაირის წარწერით: **„კუკიის გაჯი“.**

ვისაც ჰსურს ეს გაჯი შეიძინოს, უნდა მიჰმართოს მეიჯარადრეებს თოფაძესა და ჩხეიძეს, კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკკლესიასთან, ნადიროვისა და დოლუხანოვის მამულში. მოიჯარადრეებს 15 ცხენი ჰყავთ გაჯის საზიდავად. (15—128—4)

**...რველი კერძო სამკურ-ნალო**

ექიმის ნავასარდიანისა

...ქიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

...ადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 ...თ. სადოსტაქრო, ვენერიული (ტფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ჟ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაგანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ვ. გ. წერეთელი,** 6—8 ს. შინაგანი და ბავშვებისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 საათ.

**მ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებელ სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардяна.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე ... დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ...ჯინაძე.**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**გ. ბ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი,** კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

**მ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ლ. მარკოვიჩი**—12½—1½ საათ. სადოსტაქრო.

**ი. დ. გეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**სალამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი—5—6 სასაათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი—4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ქუჩა, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

**მკურნალი**

**ვ. გ. წერეთელი**

იღებს

შინაგან და ბავშვების სნეულებით ავადმყოფთ დილის 9 ს. ნაშუადღევის 2 საათამდის.

ადრესი: ელისაბედის ქუჩა, № 27, ჯაფარიძის სახლი. (უ)

კვირას, 18 ივნისს 1900 წელს,

**მუშტაიდში**

უფასო და იაფ-ფასიან სასადილოს სასარგებლოდ გაიმართება

**სახალხო სეირნობა**

ბაზრითა, მუსიკითა და ფეიერვერკით, საღამოთი ბალი გაჩირაღდნებული იქმნება.

დასაწყისი ნაშ. 4 საათზედ.

**შესვლის ფასი 20 კაპ.**

(2—6.—2)

## ახალი ამბავი

*** როგორც მკითხველებმა უწყიან, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ მოხსენება წარუდგინა მიწად-მოქმედების მინისტრის ამხანაგს. ამ მოხსენებაში საბჭო სთხოვს, შემწეობა აღმოუჩინოს სამინისტრომ საზოგადოებას ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის მოწყობის საქმეში და აგრეთვე იმას, რომ ეპატიოს საზოგადოებას ამ სკოლის ვალი.

*** მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ იმპერატრიცა მარიამ ალექსანდრეს ასულის სახელობის უსინათლოთა სამზრუნველომ საკუთარი შენობა ააგო ტფილისის უსინათლოთა სკოლისათვის. ამ შენობას სამშაბათს, 20 ივნისს, აკურთხებენ. შენობა ავლაბარშია. სამზრუნველოს საბჭო სთხოვს წევრებს და აგრეთვე სხვებს დაესწრნენ ამ დღეს შენობის კურთხევის დღესასწაულს.

## ფელეტონი

**...ერპთ-თაყვანისმცემლობა ჩვენში.**

(...ჩვენის ლიტერატურულ ზნე-ჩვეულებიდგან)

კაცობრიობას შიშისთანა მტერი ...ა ჰყავსო, ამბობს დარვინი, მაგრამ ...ში, როგორც ბიოლოგიური ფაქ...ტორი, მარგებელი მოვლენა ყოფი...ლა ცხოვრებაში. ცხოვრებისათვის ...ბრძოლამ დაჰბადა შიში, მან უფრო ...გააფრთხილა ყოველი ინდივიდი და ...ჯგუფი. მაგრამ როდესაც ადამიანთა ...ორის გრძნობა შიშისა საზღვარს ...გადასცილდება და გაფრთხილების ...ფარგალში არ არის მოთავსებული, ...მაშინ იგი სასარგებლო-პროგრესიულ ფაქტორად არ ჩაითვლება. ამ შემთხვევაში შიში აკარგვინებს ადამიანს თავისის ძალისა და პირადობის რწმენას, რომელიმე საგანი, ან მოვლენა მიუწვდომელად და დიდებულად ეხატება წარმოდგენაში და აქედგან იწყება კერპთ-თაყვანისმცემლობა, ან ...აღმატებული თაყვანის ცემა რომელისამე მოვლენისა. დღევანდელს ფელეტონში გვინდა მკითხველს მოველაპარაკოთ იმ არა-სასიამოვნო ...კერპთ-თაყვანისმცემლობის შესახებ, ...რომელიც დღეს თვალ-საჩინო მოვლენა გახდა ჩვენს ცხოვრებასა და ლიტერატურაში.

ადამიანის აგებულება იმ გვარია, რომ თან დაჰყოლია შიში, რომელიც მზა ჰყოფს თაყვანი სცეს ყოველს მოვლენას, რომელიც უფრო მეტს ყურადღებას იქცევს, რადგან მოვლენის ნამდვილი ვითარება ვერ გაუგია იმისს გონებას. კიდეც ამისათვის შიშს ყოველთვის დიდი ალაგი ეჭირა სარწმუნოების შექმნის საქმეშიაც. ყოვლად მაღალი სწავლა ქრისტესი, მისი უაღრეს წერტილამდის მიღწეული მორალი როდი არის მოკლებული შიშს, რომლის სახელითა და გახსენებით მრავალი ზნეობრივი მოქმედებაა შთაგონებული ამ ქვეყნად. სხვა სარწმუნოებათა შექმნის საქმეში ხომ დიდი და დიდი გავლენა ჰქონდა შიშს, ამ ადამიანის თანდაყოლილს თვისებას. საიდუმლოებით გარემოცული ბუნება, გაუგებარი და მიუწვდომელი პირველ-ყოფილ ადამიანისათვის, შიშს ჰბადებდა და ეს შიშიც ოცნების ძალ-დატანებით სა შიშარს საგანს, ან მოვლენას, სხვადა-სხვა გვარ ღვთაების სახეს ანიჭებდა. დღეს მეცნიერება თან-და-თან შიშს შესაფერისს ფარგალში აყენებს, ფანტაზიის საოცარ ქმნილებას ფანტასტიური ხასიათი ეკარგება და ნამდვილის სახით იმოსება. იმ სახით, რომელიც შიშის მომგვრელი აღარაა. ამგვარად მეცნიერებამ შიში შეამცირა და იგი სიფრთხილეს დაუკავშირა. დღევანდელმა ცხოვრებამ, როგორც უფრო გონიერმა და მოქალაქობრივმა, არ უნდა იცოდეს შიში, რომელიც აზროვნობას ადუნებს და იმ ძალას და გაბედულებას უკარგავს, რომელიც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ადამიანისათვის. თუმცა დღეს ადამიანი ძველებურად ვერ შეუპყრია შიშს, მაგრამ იმდენად მოკლებულია იგი საკუთარს ძალასა და დამოუკიდებლობას, იმდენად გაუბედავი და დამოკიდებულია მისი გონება, რომ დღესაც იჩენს შიშის და მაგივრად გონებრივს სისუსტეს და თავისისავე მსგავსის ადამიანის ჰკუასა და მოსაზრებას ემორჩილება, იმისდა განუკითხავად, მართალია, საფუძვლიანია სხვისი მოსაზრება, თუ არა.

ამ ნაირად ადამიანს დღეს ისე როდის სჩაგრავს ის საზრისი, რომ ღონით დამძლევენ, დამჩაგრავენო. დღევანდელი განვითარებული ტეხნიკის ნამოქმედარნი, შორს მსროლელი თოფი, ზარბაზანი და სხვა ამ გვარი გამოგონება კერძო, ან თუნდაც მთელის ჯგუფის ფიზიკურ ძალას არარად ჰქმნის და ეს არც არის ისე გულ-სატკენი ადამიანისათვის. მაგრამ რადგან ჩვენს დროში მეტი ალაგი დაიჭირა ინტელლექტუალურმა ცხოვრებამ, რომელიც ერთად-ერთი საუკეთესო და ხელ-საყრელი იარაღი შეიქმნა ცხოვრებისათვის ბრძოლაში, ამ მხრივ მაინც არ უნდა დაუმონოს ადამიანმა თავისი თავი სხვას, სხვისი ყურ-მოჭრილი მონა არ უნდა გახდეს. თუ ერთი კაცი ვერ აიკიდებს ზურგზედ მთელის სახელმწიფოს სამხედრო იარაღს, სამაგიეროდ მას შეუძლიან საკუთარის მეცადინეობით კარგად შეითვისოს რამდენისამე სახელმწიფოს მაღალი კულტურა. კულტურულს ბრძოლას, კულტურულს განვითარებას დღეს დიდი ალაგი დაუჭერია და, აქ საკუთარ გამრჯელობას, პირად მეთაურობასა და მეცადინეობას აქვს ალაგი, რადგან ამისათვის საჭირო იარაღი—თავი და ტვინი საკუთარი კუთვნილებაა და იგი უნდა იყოს ადამიანის საამაყოდ და სანუგეშოდ.

სამარცხვინოდ უნდა ითვლებოდეს და ითვლება კიდეც, როდესაც ერთი მეორეს იჯაბნებს მტკიცე სჯით, უფრო ძლიერის ლოგიკით. არაფერი არ არის ისე დამამცირებელი, როგორც თვისის შეხედულობისა და რწმენის უქონლობა. ამგვარი ადამიანი ძლიერ ჰგავს იმ სიმძიმეს მოკლებულს ბუნდღლს, რომელიც აჰყოლია ცოტაოდენ ქარის დენასაც-კი და უგზო-უკვლოდ დაფარფატებს ჰაერში. ჩაუკვირდით კარგად რამოდენისამე ადამიანის მუსაიფს, ან დააკვირდით კრებებზედ მომხდარ ბაასს და დამეთანხმებით, რომ იშვიათი მოვლენა არის, რომ ადამიანს შეგნებული ჰქონდეს თავისი „მე“, პირადობა, და ეს იმიტომა ხდება, რომ ის თავიდგანვე შესჩვევია თავისის აზრის უქონლობას და სხვისის ჰკუის აყოლას. ამის გამო ნურც გაგიკვირდებათ, რომ მას რომელიმე კერპი გაუჩენია, რომლის მოსაზრებითაც სცხოვრობს და სულდგმულობს. თუ ოდესმე გაჰბედეთ და გაარჩიეთ რომელისამე კერპის მოქმედება და მოსაზრება, მაშინვე კიჟინს დაგაყრიან, რადგან სამართლიანი გაბედულება, სამართლიანი კრიტიკა კერპის უპატიურებად ითვლება. თქვენ-კი მართებულად შეხედეთ კერპს, თავიდგან ფეხებამდის აზომ-დაზომეთ და შესაფერისი მსჯავრი დასდეთ. როდესაც უბრალო მკითხველი ამ გვარად უყურებს კრიტიკას, ეს საკვირველი როდია, რადგან უბრალო მკითხველი ძალაუნებურად მიჰნდობია რომელსამე კერპს და მისის სულის მოძრაობით სულდგმულობს, მისის სულის თქმით სცხოვრობს.

*** 4 ივნისს წმ. ნინოს სახელზედ თელავში არსებულ დედათა სასწავლებელში წლიური აქტი იქმნა გარდახდილი. პარაკლისის დროს გალობდა მოწაფე-ქალთა გუნდი ბ-ნის ახვლედიანის ლოტბარობით; სასიმღერო სალიტერატურო განყოფილებაში მოწაფეთ საუცხოვოდ წაიკითხეს ქართულად და რუსულად ლექსები და მშვენივრად იმღერეს ქართულ-რუსული სიმღერები. საუკეთესო მოწაფეთ შემდეგ ჯილდოები დაურიგეს. აქტის შემდეგ საიმპერატორო სტიპენდიას კენჭი უყარეს და სახელმწიფო ხარჯზედ მიღებულ იქნა მეორე კლასის მოწაფე-ქალი შტაბს-კაპიტანის ანდრო უზნაძის ასული ეკატერინე.

*** ოთხშაბათს, 14 ივნისს, სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგმა დ. ს. ს. ხ. ა. ზვერევმა, სხვათა შორის, დაათვალიერა ტფილისის მე 2 დედათა გიმნაზია და ტფილისის რეალური სასწავლებელი. ბ-ნი ზვერევი ტფილისიდგან ხუთშაბათს, 15 ივნისს, წავიდა. წასვლის დროს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს ბ-ნს იანოვსკის მადლობა გამოუცხადა სასწავლებლებში საქმის რიგიანად დაყენებისათვის.

*** პარასკევს ქალაქის გამგეობის წევრმა თავ. ჩერქეზიშვილმა გამგეობას წარუდგინა გასასინჯველად ტეხნიკის მელიქ-ბეგლიაროვისაგან შედგენილი პროექტი ნაძალადევში ხიდის გაკეთების შესახებ. გამგეობამ დაადგინა მიანდოს ქალაქის ინჟინერს ბ-ნს ალიბეგოვს განიხილოს დაწვრილებით ეს პროექტი და შემდეგ თავისი მოხსენებით წარმოუდგინოს გამგეობას გასასინჯველად.

*** ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი სვეჩინი დღეს, 18 ივნისს, სოფ. წყნეთს მიდის.

*** ამ ჟამად მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა რწმუნებულის კანცელარიას უკვე შეუკრებია კავკასიის სოფლის მეურნეობის შესახებ ცნობები და ეს ცნობები ფრანგულსა და რუსულს ენაზედ დაუბეჭდიათ და მალე პარიზში გაჰგზავნიან გამოფენისათვის.

*** ორშაბათს, 19 ივნისს, ტფილისის ქალაქის საბჭოს უკანასკნელი სხდომა ექმნება. საბჭოს წარედგინება ამ ჟამად 23 საქმე და ამათ შორის ისიც, რომ დაფასების შეუტანელი გარდასახადი ეპატიოთ სახლის პატრონებს.

*** პარასკევს, 16 ივნისს, ქალაქის გამგეობის სადგომში სხდომა ჰქონდა ქალაქის სასწავლებელთა კომისიას ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით. კომისიამ დაადგინა სახელოსნო სკოლის გამგის შუამდგომლობის თანახმად, გადასდოს 600 მან. სახელოსნო სკოლის შენობის შესაკეთებლად; ამასთან კომისიამ დაავალა გამგეს, რომელიც ამ ზაფხულს საზღვარ-გარედ მიდის, დაათვალიეროს იქ სახელოსნო სასწავლებლები და დაბრუნების შემდეგ წარმოუდგინოს კომისიას თავისი მოხსენება ამის შესახებ. კომისიამ საჭიროდ დაინახა შემწეობა აღმოუჩინოს მასწავლებელს ს. ბლიაშვილს 50 მან. და პირუმოვს—100 მან. ქალაქის სასწავლებლისათვის 11 მასწავლებლისა და ხარფუხის სკოლის გამგის არჩევანი კომისიამ გადასდო ხუთშაბათის, 22 ივნისისათვის. კომისიამ საჭიროდ დაუნახავს, რომ ხარფუხის სკოლის გამგემ თათრული ენაც იცოდეს. დასასრულ კომისიამ მოისმინა თავისს წევრის კ. მ. ალიხანოვისაგან აღძრული ორი საგანი; სასწავლებელთათვის განსაკუთრებულ ექიმის მოწვევისა და იმის შესახებ, რომ გადამდებ სენის გავრცელების დროს მიღებული იქმნას ისეთი ზომები, რომ სასწავლებლებში სწავლა არ იქმნას ხოლმე შეწყვეტილი. კომისიამ, განიხილა რა ეს კითხვები, დაადგინა: დაავალოს გამგეობის წევრს წარმოუდგინოს კომისიას საჭირო მასალა პირველის საგნის შესახებ, მეორე საკითხი კი შემდეგ სხდომაზე იქმნეს განხილული.

*** ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა ბ-ნმა სვეჩინმა შეატყობინა კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, რომ კახეთში სოფელ ყვარელის ვენახებსა და ყანებში გაჩენილა ერთგვარი მწერი, რომელიც დიდს ზარალს აყენებს ვენახებსა და ნათესობასაო. მწერის გასაწყვეტად ისეთი ზომები მიუღიათ, როგორც მიწად-მოქმედების დეპარტამენტმა შეიმუშავა კალიასთან ბრძოლის დროს მისაღებად.

*** როგორც გუშინ გვქონდა მოხსენებული, სამელიორაციო კრედიტი (სესხი) მიეცემათ შემდეგ სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათათვის: 1) ჭაობების ამოსაშრობად და უწყლო ადგილებში არხების გასაყვანად; 2) მდინარეთა ნაპირების გასამაგრებლად; 3) ტყის გასაშენებლად; 4) ვენახებისა და ბაღების მოსაშენებლად; 5) ახოების გასაკეთებლად; 6) ღვინის სარდაფებისა და მარნების გასაკეთებლად; 7) ბეღლების, თავლებისა და საჯოგეების მოსაწყობ-ასაგებად; 8) წისქვილების ასაშენებლად და ერბოს მკეთებელ მანქანების შესაძენად და 9) საქონლის შესაძენად. სესხი გაიცემა 20 წლის ვადით. იმ სესხზე, რომელიც გაიცემა მდინარეთა ნაპირების გასამაგრებლად, გამოერთმევათ 2%, დანარჩენებზე—4%. სესხი მიეცემა ერობათ, მემამულეთა და სოფლის საზოგადოებათ.

*** ქ. ახალციხის ხელოსანთ შუამდგომლობა დაუწყვიათ, რომ ახალციხეში ხელოსანთა სამმართველო იქმნას შემოღებული.

*** კუნდუროვისა და ლაზარევის სპილენძის ჩამოსასხმელს ქარხნებს ზანგეზურის მაზრაში ინგლისელი კაპიტალისტები თურმე ყიდულობენ 1,600,000 მანეთად.

*** ქ. ახალციხის თვითმმართველობას დაუდენია შუამდგომლობა გასწიოს, რომ ქალაქის მეეტლეებსა და ბარგის მზიდველ მეურმეებს გარდასახადი შეაწერონ ქალაქის სასარგებლოდ. გარდასახადი თითო ცხენსა, ხარსა და კამბეჩზედ წელიწადში ექვსს მანეთს არ უნდა აღემატებოდეს, მაგრამ სამაგიეროდ აწ არსებული ეტლის №-ის გარდასახადი მოსპობილ იქმნება.

*** როგორც ყვარელიდგან გვატყობინებენ, ვენახებს რაღაცა ჭია გასჩენია, რომელიც დიდს ზარალს თურმე აძლევს ვაზებს.

*** ტფილისის 1, მე-2 და მე-3 დედათა გიმნაზიებში ეგზამენები უკვე გათავდა. პირველ გიმნაზიაში დაასრულა სწავლა სულ 57 მოსწავლე ქალმა, აქედგან რუსი 36-ა, სომეხი 17, პოლონელი—2 და ქართველი 2: ოლგა ა. ბადრიძე და ანნა დ. ოქრომჭედლიშვილი; მე-2 გიმნაზიაში დაასრულა სწავლა 51 მოსწავლე ქალმა; მათ შორის 34 რუსია, 10—სომეხი, 3 ნემეცი და 3 ქართველი: ელისაბედ ციციშვილი, მარიამ რცხილაძე და ელისაბედ ჩოლოყაშვილი. ოქროს მენდლით გაათავა ორმა, ხოლო ვერცხლის მენდლით ოთხმა; მე-3 გიმნაზიაში—18 მოსწავლე ქალმა, მათ შორის 7 რუსია, 9 სომეხი და ორი ქართველი: თავდგირიძე ნინო და ჩიკვაიძე ელენე. ოქროს მენდლით გაათავა ხუთმა, მათ შორის ერთმა ქართველმა, ელენე ჩიკვაიძემ.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურ ალიკენტიდგან იუწყებიან, რომ იქ ამ ჟამად საქონლის ჭირია თურმე გავრცელებული, რომელიც მცხოვრებთ დიდს ზარალს აძლევს.

*** ორშაბათს, 19 ივნისს, ტფილისის მე-2 განყოფილების სისხლის სამართლის მომრიგებელ-მოსამართლე, სხვათა შორის, განიხილავს ერთს საყურადღებო საქმეს სამრეკლო სკოლების გამგის მასწავლებლის ს. წერეთლისა და ცნობილი ნავთის მწარმოებლის არაფელოვის მეუღლის სოფიო არაფელოვისას, რომელსაც წერეთელი უჩივის, რომ არაფელოვისამ პალტოს მოპარვა დამაბრალა და ამით დიდი შეურაცხება მომაყენაო.

*** 16 ივნისს, ცხენის რკინის გზის ვაგონში მჯდომს ერთს მოხუცს ქალს ჯიბიდგან 15 მან. ფული ამოაცალეს ვიღაცამ. მოხუცებულმა ვაგონშივე გასინჯა ჯიბე და, რომ ქისა აღარ დაუხვდა, იქვე გული შეუღონდა. ვაგონში მყოფთ იქამდის შეებრალათ საცოდავი მოხუცი ქალი, რომ 15 მან. უცბად მოუგროვეს და ჩაბარეს.

*** ს. ანაგა (სიღნაღის მაზრა). ივნისის 1-ლს ღამის 12-ს საათზედ გლეხს ტიტია დარჩიაშვილის ორს სახლს ცეცხლი წაეკიდა და მთლად გადაბუგა. როგორც ამბობენ, ამ ორივე სახლში დარჩიაშვილს ოცდა ათ ურემზედ მეტი ხე-ტყე და ბევრი სხვა სახლის მასალა ჰქონია შენახული. ზარალი ორს თუმნამდეა.

სახალხო სამკურნალოს დაარსებასა და ექიმის მოწვევას, როგორც სჩანს, მალე ვეღირსებით, რადგანაც ამ საქმეს გულ-მხურვალედ მოჰკიდეს ხელი როგორც მაზრის უფროსმა ბ-ნმა შანშიევმა, ისრე საზოგადოებამაც. ოთხი სოფლის მიერ წარდგენილი განაჩენი უკვე დაამტკიცა გუბერნატორმა და 2-ს ივნისს გუბერნიის ექიმის თანაშემწე ბ-ნი მაჭავარიანიც ბრძანდებოდა აქ, რომელმაც ადგილობრივ ბოქაულ ერისთავთან ერთად დაათვალიერა ს. ანაგაში გასაქირავებელი შენობები სამკურნალოსათვის. ბ-ნმა მაჭავარიანმა კიდევაც მოიწონა ერთი სახლი. სახლი დაიქირავეს ექვსი წლით, თვეში ორ თუმნად, მხოლოდ შენობა ჯერ გასაკეთებელია, ოთახები მოსამატებელი და სრულად გამართვისთვის სახლის პატრონს მისცეს ვადა 15 მარიამობისთვემდე. ამ დროს მკურნალიც მოვა და დაიწყება საქმე. მთელის ოთხი სოფლის საზოგადოება ამ დღეს სიხარულით მოელის.

*** პარასკევს, 16 ივნისს, ქალაქის გამგეობამ განიხილა სასანიტარო ინსპექტორისაგან წარდგენილი ტფილისის ქალაქის ექვსის მკურნალის შუამდგომლობა, რომ ორის თვით დათხოვნილ იქმნენ საზაფხულოდ. გამგეობამ, განიხილა რა ეს საქმე, დაადგინა:

---

საუბედუროდ, ჩვენში ზოგი ლიტერატორებიც-კი გაიჩენენ ხოლმე კერპს, რომელსაც უთავბოლოდ და უზომოდ უკმევენ გუნდრუკს. ეს სამარცხვინოა ლიტერატორისათვის. ჩვენში ხშირად შეხვდებით ლიტერატორს, რომელიც კალმით თანამოძმეს პატივს არა სცემს, თუნდაც იგი ნიჭით უკეთესი იყოს. ამავე დროს ეს ლიტერატორი თავს იდრეკს, პირადობას იჩქმალავს რომელიმე ცნობილ ლიტერატორის წინაშე და ვალდებულად ჰხდის სხვასაც თავი მოიდრიკოს, თაყვანისცეს მისგან გაბუმბერაზებულს ლიტერატორს; თუ ასე არ მოიქეცით, კიდეც შეურაცხყოფს ასეთის კადნიერებისათვის. ზოგიერთ მოსაზრებისა და მოქმედებისათვის თქვენც პატივსა სცემთ ცნობილს ლიტერატორს, რომლის თაყვანის ცემისაც გავალებენ, მაგრამ მაინც გაიძულებენ ყოველივე იწამოთ მისი, ყოვლად შეუცდარ ავტორიტეტად გაიხადოთ იგი. ბევრს ჩვენთაგანს ჰყოლია რომელიმე საყვარელი მწერალი. ზოგი გატაცებული ყოფილა ნ. მიხაილოვსკით, ზოგი ოგიუსტ კონტით, სპენსერით, მარქსით და სხვანი, მაგრამ თავ-დავიწყებამდის გატაცება რომელისამე მწერალით შეუძლებელად ჩაგვითვლია. ადვილად მივუხვდებით ამ შემთხვევაში იმ დასკვნამდის, რომ რაოდენობითი და ვითარებითი სულიერი მსგავსება ახლოვებს მოსწავლეს მასწავლებელთან. ნატურალისტს-ბუნების-მეტყველს უფრო იზიდავს დარვინი, სპენსერი, ოგიუსტ კონტი, მილლი, პოლიტიკო ეკონომს რიკარდო, მარქსი, ვიდრე კანტი ან ჰეგელი და სხვები. თვით სულიერი დაახლოვება, მსგავსება, გონების თითქმის ერთნაირი ვითარება, საგნის ერთნაირი შეგნებულება ამ შემთხვევაში ძალას გატანს სხვისი ყურ-მოჭრილი მონა არ გახდეთ, საკუთარი ძალა და გონებაც იწამოთ და აქედგან იბადება მხოლოდ კანონიერი და დიდად სიმპატიური სულთა სწრაფვა ზოგიერთ მწერლების მიმართ, მეტი პატივისცემა მათი და არა კერპებათ შექმნა და მათ წინაშე მონური მუხლის მოდრეკა.

კიდევ არაფერი, რომ ვინმე მარტო თავისს თავს იმცირებდეს გარდამეტებულ გონებრივ მონობით, ან მართლა საზოგადო ყურადღების, მსოფლიო მნიშვნელობისა იყოს ის მწერალი, რომლის აზრითაც სცხოვრობენ და სულდგმულობენ. ხშირად მწერალი ადვილად მისაწვდენია, საზოგადო ცოდნაც ბევრი აქვს, მაგრამ თაყვანისმცემელნი მაინც ჰლამობენ ჩაგითრიონ და მისი კერპთ-თაყვანის-მცემელი გაგხადონ. კარგია, თუ მართლაც ადამიანი, რომელსაც დიდის პატივითა და ფანატიზმით ეკიდებიან, მართლა რაიმე საზოგადოებრივს ძალას წარმოადგენს.

ამ შემთხვევაში თავის დაზჩავება დიდი უბედურება არ არის. სხვა რომ არა იყოს-რა, ეს გარემოება საზოგადო უიმედობის დროს მოღვაწეს მაინც გაამხნევებს და ათქმევინებს: „მე მაფასებენ და ესეც დიდი იმედია ჩემთვის შრომისა და მოღვაწეობის განსაგრძობადაო“. ჩვენში უფრო ხშირად ხდება, რომ, რაკი თვალთა-ხედვა, ყურთა-სმენა გვაკლია, ტვინის განძრევა გეზარება, ბევრსა არ ვფიქრობთ, ხშირად საზოგადო საქმეს ჩავუგდებთ ხოლმე ხელში იმისთანა ადამიანს, რომელიც „საკერპოდ“ არ გამოდგება. თუმც ჩვენში ისიც-კი არის, რომ ბევრს კერპი იმდ-კი არ დაუსკუპებია მაღალ კვარცხლბეკზედ, რომ ვითომ მუხლს იხრიდეს მისის ძლევა-მოსილების წინაშე. არა, ბევრი სარგებლობს საზოგადოების გარდამეტებულის კერპთ-თაყვანისმცემლობით და გარდამეტებულ თავ-მოყვარეობით სავსე ადამიანს ამაგრებს, რათა ეს გარემოება უფრო გამოიყენოს და ამღვრეულ წყალში თევზი ბლომად დაიჭიროს. ეს მოსალოდნელია მხოლოდ ჩვენებრ ახლად ფეხ-ადგმულს საზოგადოებაში.

ეს მოვლენა მით არის საყურადღებო, რომ ადვილად აღინიშნება საზოგადოების გონებრივი და უფრო ზნეობრივი სიმაღლე, რადგან ამ შემთხვევაში უსაფუძვლოდ გაბუმბერაზებული ადამიანი-კი არ არის საყურადღებო, არამედ თვით საზოგადოება, რომლის გონება და ზნეობა იხატება ამა თუ იმ კერპის თაყვანის-ცემის დროს. კერპის პირადი ღირსება საზოგადოების გონებისა და ზნეობის მაჩვენებელია, ამისათვის იქ სადაც მომეტებული კერპთ-თაყვანისცემაა, კერპის დევნა-კი არ არის საჭირო, კერპის დევნა კიდეც გააფთრებს ბრბოს, არა უფრო კანონიერი და გონიერი მოქმედება იქნება ისევ ბრბოსთან დაიჭიროთ საქმე, დაუახლოვდეთ და დაიახლოვოთ, ისე-კი, რომ თქვენს მოქმედებასა და მოსაზრებაში ცხადად სჩანდეს გულწრფელობა და ნამდვილი და მოუსყიდველი სიყვარული საზოგადოების სამსახურისა. აქ დიდი სიფრთხილეა საჭირო, სიფრთხილეა საჭირო იმისათვის, რომ ბრბოს თან იმისთანა პარაზიტები დაჰყოლია, რომლებიც სარგებლობენ მისის უმეცრებითა და და უვიცობით, და თუ ამ უმეცრებასა და უვიცობას განშორდა ბრბო, მაშინ პარაზიტების დღეც დათვლილია. კიდეც ამიტომ მეტი სიფრთხილე არის საჭირო, რომ კერპთ-თაყვანისმცემელი ბრბო არ გაწყრეს და არ განრისხდეს. კერპის შემუსვრა იმ დროს, როდესაც მისი რწმენა დიდია, კერპთან მებრძოლეს საქმეს გაუძნელებს. ისევ უმჯობესია ბრბომ იცნოს თქვენი უანგარობა, იცნოს რომ თქვენ გიყვართ და კეთილის მსურველი ხართ მისი. როდესაც ბრბო ამას დარწმუნდება, მაშინ შეგიძლიანთ კერპი განიხილოთ და მისი ყოველი ღირსება და ნაკლულევანება ცხად ჰყოთ. ბრბო წარმოადგენს სტიქიურს ძალას, რომელსაც სულიერი ცხოვრება სრულიად არ ასულდგმულებს, მისი ძალა უფრო ფიზიკურია. მაგრამ ეს არამც თუ არ უშლის, უფრო ხელსაც უწყობს, რომ ბრბო უთავბოლოო შიშით იყოს შეპყრობილი და თან გატაცებული იყოს იმისთანა ადამიანის თაყვანისცემით, რომელიც ბრბოსათვის მავნებელია კიდეც.

ე. ვეშაპიძე

(დასასრული იქმნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

განთავისუფლდენ ორ-ორის თვის ვადით: გონიევი, გუღულიანცი და ფომინა-ოსპოვისა ჯამაგირის შენახვით, მოიწვიონ პირველ ორის მკურნალის თანამდებობის აღმასრულებლად დროებითად ორი მკურნალი, რომელთაც დაენიშნოთ ას-ასი მან. თვეში. ხოლო ფომინა-ოსპოვის თანამდებობის აღსრულება მიენდოს მკურნალს ქალს ისაკოვისას და ამ [illegible]ისათვის ზედ-მეტი ჯამაგირი 50 მან. დაენიშნოს თვეში; აგრეთვე ორ-ორის თვით განთავისუფლდნენ ექიმები: გედევანიშვილი და მირაქოვი ჯამაგირების შენახვით, ხოლო ტერ-ასატუროვი $1^1/_2$ თვით უჯამაგიროდ, რომლის ადგილზედაც მისის ჯამაგირით მოიწვიონ დროებით სხვა მკურნალი.

## წერილი ცხინვალიდგან

მოუთმენლად მოველოდით გაზაფხულს, რომ ზამთრისაგან გაჯახირებულნი, წელში ოთხად მოკაკულნი და ნივთიერად დაჩაგრულნი სამუშაოდ გამოვსულიყავით, ხელ-ფეხი გაგვეხსნა და სული მოგვებრუნებინა, მაგრამ თქვენს მტერს, რომ ჩვენ ზურგი გავიმაგრეთ!.. აგერ ჯერ დღესაც ისევ თბილს ტანისამოსში გახვეულვართ. გარდა იმისა, რომ სიცივემ ხეხილი წაახდინა, ბალახა ჩაიხაშუდა, გვგონია, ვაზსაც ხეირს არ დააყრის. დაიწყო ავდარი და ერთი დღე მზიანი არ გვინახავს. ცისმარე დღე კოკისპირულად სწვიმს. მუშა კაცს ხელი აღარ გაუხმდება, რომ ან ვენახი გამოუთოხნა ან ორიოდ დღის სიმინდი. ეს არ გვაკმარა დაუდგრომელმა ბუნებამ და ამ რამდენისამე ხნის წინად წამოგვიშინა სეტყვა და სულ ხაცარტუტა ადინა რამდენსამე სოფელს, მეტადრე სამაჩაბლოში. დიდმა ხაილგრებმა ხომ თავისი დაგვმართა: მრავალგან სახლები და წისქვილები წაიღო და სხ. ასეთს უდიერს ამინდს და ბუნების წყრომას, მოგახსენებენ მოხუცნი, არ მოვსწრებივართო. დიახ, რაც დაგვაკლო ატეხილმა წვიმებმა, სიცივემ, სეტყვამ, ხაიდკარმა, ის შეგვისრულეს დიდმა და პატარა ლიახვმა. მოიგლიჯეს, ბატონო, თავი და რაც-კი მისწვდნენ, —ხეს, ღრეს, სახლს, წისქვილს, ყველა თან-ქვე გააქანეს. სხვა ზარალს შორის დიდმა ლიახვმა დაატაცა რამოდენიმე ათასი ტივის ხე, თავ. მაჩაბლიანთ ტყეში მოჭრილი და მოიტაცა პატარა ლიახვზედ ხიდი, რომელსაც დიდი ხანია მკვეთება უნდოდა, მაგრამ ვერავინ ითავა ეს. ჩვენმა დაუდევრობამ ამ რიგად ადვილად გასაკეთებელი საქმე გაგვიძნელებინა და ეხლა ახალი ხიდის გადებას აღარც ათასი თუმანი ეყოფა. მამასახლისმა ამიერიდგან პატარა ლიახვზედ ხიდი აღარ გახლავთ და მიზეზიც სწორედ ეს არის, რომ ყოველ დღე შემაძრწუნებელი ხმები ისმის: აი ეს დაირჩო, ის დაირჩოო და სხ. ამას წინად დაარჩო დიცის საზოგადოების მამასახლისის ჩაფარი, სულ ახალგაზრდა, ცოლ-შვილის პატრონი კაცი. ამ წინაზედ სოფ. მერეთში უეიდხიათ ღვინო გიორგი მიქელაძესა და იმისს შვილს. წამოუღიათ ღვინოები. მამა ცხენით შემოსულა წყალში, შვილი ურემზე დარჩენილა. როგორც-კი გაუხსნებიათ თითქმის წყალი, მოხუცებულს მიქელაძეს ცხენი წაჰქცევია და [illegible] შვილს რომ ეს დაუნახავს, [illegible] წყალში და მამას დასდევნებია გადასარჩენად, მაგრამ ვერც მამა [illegible] ჩაუყურყუმალავებია. ამ დროს შეუმჩნევიათ მერეთელ გლეხებს განო და [illegible] გორგიშლებს, დასდევნებიან და ჯერ გამოუტანიათ ცოცხალ-მკვდარი შვილი, მერე მამას დასდევნებიან. მაგრამ საბრალო მოხუცი ისეთს ადგილს თურმე მიიტანა წყალმა, რომ ვერ მიუდგნენ. უტარებია მოხუცი წყალს თითქმის ვერსნახევარი, ორი ვერსი მანძილი, გორგიშლებიც მიჰყოლიან და როდესაც მოხუცი წყალს ისეთს ადგილას გაუტანია, სადაც შესაძლებელი იყო ადამიანი მისდგომოდა, შეცვივნულან და თითქმის დამხრჩვალი გამოუტანიათ გიორგი მიქელაძე. ასე შემთხვევით გადარჩნენ თურმე მამა-შვილი დარჩობასა.

თუ პატარა ლიახვის ხიდი იყო და აღარ არის ჩვენის უთაურობით, არც დ. ცხინვალის ხიდია კარგს მდგომარეობაში: აქა-იქ ფიცრები მთლად ჩამოტკრულია და დიდის სიფრთხილით უნდა გაიარონ ადამიანმა თუ საქონელმა, რომ ფეხი არ ჩაუვარდეთ. თუ დროზედ არ მიეხედა, ვისგანაც ჯერ არს, მალე ეს ხიდიც ხელიდგან გამოგვეცლება. ამ დღეშია ხიდების საქმე, მაგრამ უკეთესი არც სხვაფრივა გვჭირს. ჩვენის გაზეთის მკითხველებს კარგად ეხსომებათ, რომ გამოცხადებული იყო, ცხინვალში ფარნები უნდა მოუმატონო. ეს, ბატონებო, მტკნარი სიცრუე გამოდგა. აი ნამდვილი ვითარება საქმისა: ადგილობრივმა ბოქაულმა განკარგულება მოახდინა ამ ორის თვის წინად, რომ ძველი ფარნები სულ უნდა დაიშალოს, გადაკეთდეს და სამოცის მაგივრად ოც-და-ათი უნდა იყოსო. მოუთმენლად მოველოდით გვენახა ეს ახალი ფარნები. ჯერ, სჩანს, ეგრე მალე ვერ ვეღირსებით. ერთი რამ გვაკვირვებს მხოლოდ: მაშინ როდესაც სხვა ქალაქია, თუ დაბა, იმასა სცდილობენ, რომ ფარნებს მოუმატონ, უკეთ გაანათონ,—ცხინვალში რაღაც სამოცი უხეირო ფარანია, რომლებსაც ხან ანთებენ, ხან არა, და ამასაც განახევრებას უპირებენ. ალბად ახლად შეკეთებული ფარნები მეტის-მეტი კარგი რამ უნდა იყოს, თორემ ვერ დავიჯერებთ, რომ ერთი ფარანი ერთი ქუჩიდგან მეორესაც ანათებდეს! იქნება ცხინვალის ამ ახლად გამოგონილს ფარნებს რაიმე კავშირი ან ნათესაობა ჰქონდეს რენტგენის სხივებთან.

ვინც გგონივართ, ის არა ვარ

## უცხოეთი

**ჩინეთი.** ევროპის დიპლომატები ეხლავე შეუდგნენ იმის შესახებ მოლაპარაკებას, თუ რა უნდა უყონ ჩინეთს და რა გვარად მოაწყონ იქაური საქმეები. რასაკვირველია, სახელმწიფოებს უპირველესს საქმედ მიაჩნიათ ჩინეთში წესიერების დამყარება. ამისათვის საჭიროდ სცნობენ ტიან-ძინისა და პეკინის აღებას. შემდეგ-კი, დიპლომატთა უმრავლესობის აზრით, საჭიროა ისე მოეწყოს საქმე ჩინეთში, რომ ერთის მხრით ამ ნაირის ამბების განმეორება აღარ შეიძლებოდეს და მეორეს მხრით—ევროპიელებს დაუბრკოლებლივ შეეძლოთ ჩინეთში შესვლა და იქ ვაჭრობა. იაპონიის აზრით საჭიროა ჩინეთის საქმეების შესახებ მოსალაპარაკებლად სახელმწიფოთა წარმომადგენლების კონფერენცია იქმნას მოწვეული იაპონიის სატახტო ქალაქ ტოკიოში. ასეთის წინადადებით იაპონიას ჯერ არ მიუმართავს სახელმწიფოებისათვის, მაგრამ როგორც ჰფიქრობენ, მალე მიჰმართავს და შესაფერ ნოტას გაუგზავნის მათ. იაპონია იმ აზრისაა, რომ პეკინში საკონტროლო ან სათათბირო კომისია იქმნას დაწესებული, რომლის წევრებადაც უნდა იყვნენ სახელმწიფოთა წარმომადგენლნი. ეხლა-კი, ამავე იაპონიის აზრით, სახელმწიფოებმა უეჭველად უნდა გადააყენონ ქვრივი იმპერატრიცა და სახელმწიფოს საქმეების მართვა-გამგეობა ახალ-გაზდა იმპერატორს ჩააბარონ. მინისტრებად და მოხელეებად ლიბერალები უნდა იქმნან დანიშნული.

— ჩინეთის შესანიშნავ რეფორმატორს კან-იუ-ვეის გაზ. „Daily Expr“-ის კორესპონდენტთან ლაპარაკის დროს უთქვამს: „ჩემის აზრით ევროპიელ-მტრული მოძრაობა ჩრდილოეთ ჩინეთში რუსების ხრიკების წყალობით იქმნა გამოწვეული იმისთვის, რომ მათ (რუსებმა) თავისს აზრსა და მისწრაფებას მიაღწიოს. რუსეთს ხომ ყოველთვის მანჯურიის მხარე ეჭირა. კან-იუ-ვეის იმედი აქვს, რომ ინგლისი რეფორმატორებს დაუჭერს მხარს და გადააყენებს იმპერატრიცას, რომელმაც ჩინეთი რუსეთს მიჰყიდა (?). იმპერატრიცისა და იმპერატორის ახალს სატახტო ქალაქს—ნანკინში გადაყვანა ჩინეთს განათლებისა და პროგრესის გზაზედ დააყენებს“.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ჟურნალ „Revuc Scienti Figue“-ში ერთი საყურადღებო წერილია დაბეჭდილი. ავტორი, ვინმე მონადირე, აგვიწერს ვეფხვის ცხოვრებას. როგორც ამ წერილიდგანა სჩანს, ვეფხვს, ამ ყველა სულდგმულისათვის საზარელს ცხოველს, ძალიან ჰშინებია გარეულის ძაღლისა. ერთ მონადირეს ვეფხვის დასაჭერად ტყეში ეს ხერხი უხმარია: აქა-იქ ხეებზედ ცოცხალი ცხვრები, თხები და ხბორები მიუბავს. როდესაც მეორე დილას მისულა, ერთი ცხვარი მოკლული უნახავს. მაშინვე იქვე ბუჩქებში დამალულა და ცდა დაუწყვია. ერთი საათის შემდეგ დაუნახავს გარეულ ძაღლების მთელი ხროვა, რომელნიც ნელა და ფრთხილად მოკლულ ცხვრისაკენ მიიპარებოდნენ თურმე. იმათ გასადევნად მონადირეს ქვების სროლა დაუწყვია; მაგრამ ძაღლები არ წასულან და იქვე, შორი-ახლო ატუზულან. პატარა ხანს უკანს მონადირეს ხეებს შუა თვალი მოუკრავს ორის ვეფხვისათვის, რომელნიც დაბარებულებივით სწორედ იმ ადგილისაკენ მიდიოდნენ თურმე, სადაც მოკლული ცხვარი ეგულებოდათ; აშკარა იყო, რომ წინა დღეს ეს ცხვარი იმათ მოუკლავთ და მეორე დღისთვის სადილი დაუმზადებიათ. ის იყო ჭამას უნდა შესდგომოდნენ, რომ ამ დროს ერთ გარეულ ძაღლს დაუყუვლნია. საოცრად შეშინებულ ვეფხვებს გაუხედნიათ და, დაუნახავთ რა მგლები, მაშინვე თავი მიუნებებიათ ცხვრისათვის და რაც მალა და ღონე ჰქონიათ გაქცეულან. როგორც ამავე მონადირეს შეუმჩნევია, ვეფხვს ძალიან ჰყვარებია თავისავე მოძმის ხორცი. ერთხელ ნადირობის დროს ტყვიით დაუჭრიათ ახალგაზდა ვეფხვი. რადგანაც დაღამებულა, ბნელაში დაჭრილი ვეფხვი ვეღარსად უპოვნიათ, მეორე დღეს წასულან იმის საძებნელად და იქვე მახლობლად მარტო ძვლები-და უნახავთ, ხორცი სულ შეჭმული იყო. იმ ადგილის გარეშემო ვეფხვის ფეხის კვალისთვის მოუკრავთ მხოლოდ თვალი და აშკარაა, მოკლულის ხორცსაც ის შესჭამდა. მონადირენი იქვე ჩასაფრებულან და როდესაც ვეფხვი მოკლულის ძვლების შესაჭმელად მისულა, მოუკლავთ.

## ქართულის ენის საუნჯის მასალად

(შემდეგი *)

დ.

**Დ**აბდური—დამბლა; რომელსაც არაფერი საქმე არ ეხერხება, ქარ.

**Დ**აბზარული—დათხრილი, გადათხრილი ფშ.

**Დ**ადანდლვა—ურმის დანდლებით გამართვა. ქარ.

**Დ**ადურაღვა—დურაღის კვრა, დაზრობა. ცხვარი რო დაზრება ზამთარში.

*) იხ. „ივერია“ № 129.

**Დ**ატირება—დაყვავება, ბავშვი რო ტიროდეს, დაუყვავონ და გააჩუმონ. ფშ.

**Დ**ათხევა—უცებ დაკარგვა, მიმალვა, დაითხიე აქედან—убирайся. ფშ.

**Დ**აკრიალება—სახლის სუფთად დაგვა, ჭურჭელის დასუფთავება. ქარ.

**Დ**აკრიალებული—დაგვილ-დასუფთავებული. ქარ.

**Დ**ამშმარი—დამპალ-დაობებული და ასულებული. ფშ.

**Დ**ანახარული—ყურძენია შავის ფერისა. ქარ.

**Დ**ანდალი—ურმის ნაწ., ხელნეებში გაყრილი ხეები. ქარ.

**Დ**აქილვა—თხილისა ან კაკლის ჩენჩოს გაცლა. ფშ.

**Დ**ასინული—გაკალული. ფშ.

**Დ**აჟარვა—ხილის დაჟეჟვა ფშ. საბა ამბობს: „ხილის ყინვით დაზრობა“. დაჟარული იმას ჰქვიან, გვერდები რო დაჟეჟილი და ჩაჭყლეტილი ექნება რაზედმე დაცემით და არა ყინვით.

**Დ**ატბორება—დასველება წვიმით, ან წყლით. ფშ.

**Დ**აფვავა—ჭურჭლის პირში დაცობა, ან ჭრილობაში. ფშ.

**Დ**აყრანტალება სიტყვისა—ერთის სიტყვის წამოცდენა, რაც სათქმელად არ უნდოდა. ქარ.

**Დ**აყურსება—დაამდა, ყური წაუგდო, დაჩუმდა—დაწყნარდა. ქარ. ჩუბ. სხვანაირად ჰხსნის.

**Დ**აწვერვა—ტაბაკით ხორბლის გადარკვევა. ფშ.

**Დ**ახამლული—მწერელჩვილი(?), დახამლული, დაჩაგრული. შფ.

**Დ**ახაფრვა—დაკარგვა, დამალვა, მიფარება, ფშ.

**Დ**ახედვა—გემოს მიცემა სახურავისაგან. ქვევრმა დახედა, სარქველმა დახედა და ღვინო წაახდინა. ქარ.

**Დ**გნალი—წნორის მოდგმის ხე. ფშ.

**Დ**განდგარი—გრიალი მიწის ხმაურობა, როცა იძვრის. ფშ.

**Დ**ედოფალა ჩიტი—გულწითელი ჩიტი. ფშ.

**Დ**ევის ყურა—მც. ქარ.

**Დ**ევ-კაცი—გმირი კაცი.

**Დ**ემფა—ზედადგარივით სამფეხა სათამაშო ხისა, ბალღები დასდგამენ და მერე შორიდგან რიკებს ესვრიან. ფშ.

**Დ**ემფილა—მსუქანი ძროხა. ქარ.

**Დ**ირე—ხე, ფიცრული კედლის ქვეშ დადებული მიწისა და ფიცრებს შუა, რომ ფიცრები არ დალპეს. ფშ.

**Დ**ოლა ძროხა—ურქო ძროხა. ფშ.

**Დ**ოლის ჭირნახული—ვადაზედ მოხნულ-დათესილ-დაფარცხული. ქარ.

**Დ**ონა—მონა დამბლა, უთაური. ქარ.

**Დ**ონდლოჩინა—დუნე კაცი. ქარ.

**Დ**ორანი კაი დორანში ჩავარდაო, იტყვ. ქართლში, კაი იღბალი მოუვიდაო. ქარ.

**Დ**ოსმასი—ცრუ მოლაპარაკე კაცი. ფშ.

**Დ**ოსტოღრივ—პირდაპირ მისვლა, გაბედულად და შეუპოვრად. ფშ.

**Დ**ოყვი—მუწუკი. ფშ.

**Დ**ოხანი—ლობიო და ხორბალი ერთად მოხარშული. ფშ.

**Დ**როსელი—დროს მომლოდინე კაცი ავის საქნელად. ფშ.

**Დ**უდურა—გახვრეტილი ხმლის ბალახის ღერის ლულა. ფშ.

**Დ**უმბარა—ნაკერი ბამბიანი საცმელი, ისე რომ სახე გამოდიოდეს. ფშ.

ე.

**Ე**კალძმარა—კოწახური. ხეა. ფშ.

**Ე**ნად გაკრეფა—ძალიან ბევრის ლაპარაკი. ანდაზა: „ბალღი რო ენად გაიკრიფება და მოზვერი რქად—იმათში ხეირი არ არისო“. ქარ.

**Ე**ნაწყლიანი—მჭევრმეტყველი, მშვენივრად მოლაპარაკე, ენა მჭევრი. ფშ.

**Ე**ნიაზება—გულით ენატრება. „ვაჟის ყოლა ენიაზება“. ფშ.

„წაწალმა სანიაზომა
სულ ყველამ მაგრე იცისა,
სანამდი კარგად გვქცევა,
სანამ სხვათა შვილს მატრისა,
მემრ ისრ დაიწყებს ქცევასა,
რო ვითამ უკან გასთხრისა“. ფშ.

**Ე**რანი—პატარა ქვაბი. ხევსურ.

**Ე**შმაკუპა—ოფოფი. ფრ. ხევსურ.

თ. რაზიკაშვილი

(შემდეგი იქნება)

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 ივნისი.

**იოკოჰამა.** იაპონიაში მცხოვრებმა ჩინელებმა თხოვნით მიჰმართეს იაპონიის მთავრობას, ყოველი ღონისძიება იხმაროს და უცხო სახელმწიფოთ მხარი დაუჭიროს, რომ ჩინეთის იმპერატორმა ტახტი არ დაჰკარგოს და სატახტო ქალაქი სამხრეთისაკენ იქმნას გადატანილი. ეს ერთად-ერთი საშუალებაა, რომ წესიერება აღდგენილ იქმნას და სახელმწიფოში ცვლილებანი იქმნას შეტანილიო.

**შანხაი.** საიმპერატორო ცნობაა გამოქვეყნებული, რომელიც იუწყება, რომ იმპერატორის სასახლეზედ 3 ივნისს აჯანყებულთა ჯარებს იერიში მიუტანიათ და ცეცხლი წაუკიდებიათ.

**პრეტორია.** კვირას გენერალი ფრენჩი მარცხნივ, გენერალი გამილტონი მარჯვნივ და მეცხრამეტე დივიზია შუადგან დიდად ცდილან, რომ სილვერსტონიდგან აღმოსავლეთით 15 მილის მანძილზედ ერთს გორაზედ გამაგრებულს ბურებს გარს შემორტყმოდნენ, სამის დღის განმავლობაში ბრძოლა ჰქონიათ, მაგრამ ვერას გამხდარან და სამშაბათს მტერს აღმოსავლეთით დელაგოას გზისაკენ დაუხევია. ინგლისელებს 150 კაცი დაუკარგავთ. იმედი აქვთ, რომ ბულლერი ბურებს უკან დახევის დროს გზას შეუკრავს.

**შანხაი.** გუბერნატორის წყალობით ბანდუნში უცხოელთა და ჩინელთა შორის სრული მეგობრული დამოკიდებულება არსებობს. მისსიონერებს დახმარებას უჩენენ, გუბერნატორის მიერ პეკინში გაგზავნილ ურიცხვ შიკრიკთაგან არც ერთი უკან არ დაბრუნებულა, ჩინელები შანხაიდგან გუნდ-გუნდად მიდიან. როგორც საქმიდგანა სჩანს, ზოგნი აქ ეძებენ მფარველობასა და ზოგნიც აქედგან კანტონსა და ნინგპოში მიდიან.

**ლონდონი,** ველსლეიმ ბანკეტზედ შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: „დღევანდელი საქმეთა ვითარებანი ქვეყნისათვის არაფრად სასიამოვნოა. ინგლისს ჯერ-ჯერობით სამხრეთ-აფრიკის ომი არ დაუსრულებია, მაგრამ იმედია მალე დასრულდება. ჩინეთში საქმე თან-და-თან მწვავდება, მაგრამ სრული იმედი მაქვს, რომ რაც უნდა გაჭირვება მოგვადგეს, სამშობლო მხარე მაინც გულს არ გაიტეხს და საჭირო რიცხვს კარგის მეომრებისას მაინც იშოვის.

**იოკოჰამა.** მინისტრთა საბჭოში ლაპარაკი იქმნა აღძრული იმის შესახებ, თუ იაპონიამ ამ ჟამად რა უნდა ჰქმნას? ზოგი მინისტრთაგანი, მაგალ., საზღვაო და სამხედრო, იმ აზრისა იყო, რომ იაპონიამ იკისროს და ჩინეთში აჯანყება მოჰსპოს,—სხვანი კიდევ იმ აზრს ადგნენ, რომ საკმარისია და უმჯობესი იაპონიამ ჩინეთში მხოლოდ მფარველობა გაუწიოს უცხოელთ.

**პარიჟი.** დელკასსემ განაცხადა მინისტრთა საბჭოში, რომ ევროპიელებმა იუნანსენი დასტოვეს და ამ ჟამად ტანგხაიში არიანო. ვიცე-კოროლმა ბრძანება გასცა, რომ ყველას, ვისაც-კი იუნსენში უცხოელთა დევნაში მონაწილეობა მიუღია,

თავი მოჰკვეთონ. დელკასემ სარწმუნოდ აღიარა ის ამბავი, რომ ამ ჟამად პეკინში მყოფი ევროპიელ სახელმწიფო თა წარმომადგენელნი ტიან-ძინიდგან 12 მილის მანძილზედ იმ ყოფებიანო.

17 ივნისი.

**პეტერბურგი.** 18 ივნისს პეტერბურგში ხანის მემკვიდრეს ასვენდიარს—ჯან-ტხორს მოელიან თავისის ამალით.

**ვაშინგტონი.** კონტრ-ადმირალი რემი, კემპფს გამოსცვლის და ნაგასაკსა ანუ ჩიფუში გაჰგზავნის. ის საგანი, თუ კემპფი რატომ მონაწილეობას არ იღებდა ტაკუზედ ჯარების მიერ იერიშის მიტანის დროს განხილულ იქნება, თუ რომ გარემოება ხელს შეუწყობს.

**ბერლინი.** გერმანიის ესკადრის უფროსი იუწყება, რომ ტიან ძინის გასათავისუფლებელი რაზმი უკვე დაბრუნდაო. მიუხედავად დიდის გაჭირვებისა, ჯარებმა ლაშქრობა კარგად მოიხადეს; მოკლულია ერთი კაპიტანი და ათი ჯარის-კაცი; ნაპირზედ გადმოსხმული ჯარები ჯერხნობით ჯანს-საღად არის. ელჩების შესახებ არავითარი ცნობები არ მოუს მიღებულიო.

**ლონდონი.** გარეშე საქმეთა სამინისტრომ ცნობა მიიღო ტიან ძინის საიჯო სამძართველოსაგან, რომ ელჩები ჯერ კიდევ პეკინში არიან.

**ვაშინგტონი.** ადმირალი კემპფი იუწყება ჩიფუდგან, რომ 16 ივნისიდგან სეიმურის რაზმი ტიან-ძინშია; სეიმურთან ერთად 200 ავადმყოფი და დაჭრილი ჯარის-კაცია. პეკინში მყოფი ელჩები და უცხოელები იქ არ არიან, არავითარი ცნობა არ არის ჯერ მიღებული.

**ლონდონი.** პალატა. უილიამ სედონხლი ეკითხება, გაქვთ თუ არა განზრახვა, რომ ეგვიპტეში მეუდამ ჯარები გააკლდეთ, და თუ არა გაქვთ მაშინ ოოდის მესრულება ჯარების იქ ყოლაო. ბროდრიკმა უპასუხა: „მთავრობა ახლა იმას ვეღარ დაუმატებს, რაც ახ ახლახ ულდმა აა მვილმა კაბინეტებმა საჯაროდ გამოსთქვეს ეგვიპტის საქმეები ინგლისის პოლიტიკის შესახებო“. რედმონდი ეკითხება, იმიტომ ხომ არ მოდის ქედივი ინგლისში, რომ ითხოვოს აქ ქვეყნიდგან გაიყვანონო. ბროდრიკი პასუხს არ აძლევს. ჩემ ბერლეხმა განაცხადა, რომ კუმასსიდგან არავითარი ცნობები არ მიგვიღიაო. პეკინში მყოფ საელჩოს მესაზღვ ბროდრიკმა განაცხადა, რომ ყოველგვარი ცნობები გვაქვს მიღებული და სულ უკანასკნელი იმ ამბავს იუწყება, რომ ელჩები პეკინში არიანო.

---

### წერილი რედაქციის მიმართ

ამ ორის წლის წინად სომეხ-გრიგორიანთა საეპარქიო უფროსის მიერ გახწესებულ იქმნა ბათუმში სომხის მღვდლად ტერ გეორგ ხუციშვილი, მაგრამ თამდესიამე თვეს უკან გადმოგვიწესეს ორი სხვა მღვდელი, ამათ მორის მელიახცი, ხოლო ხუციშვილი მოგვაშორეს და გადაიყვანეს სხვაგან. ამათთა უცნარმა გადაყვანამ აქ ურიგოდ დიოსმყულის მოძღვრისად, რომელიც ისე შეთვისებული ჰყავდა თავისს მრევლს [illegible]

[illegible]

დაბადებულმა და საქართველოს შვილმა, ზინებულად იცოდა ქართული ენა, და აქაურ მრევლის დიდ-ძალ ნაწილისათვის ამ უკანასკნელ გარემოებას მალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. აქ ბევრია სარწმუნოებით სომეხ-გრიგორიანთა ისეთი ოჯახობა, რომელთაც ინჩიც არ ესმისთ სომხური და, თუ არა ქართულ ენაზე, როგორც მშობლიურზე, ისე აღსარებაც ვერ უთქვამთ მოძღვრისათვის. ნუ თუ აქაც თარჯიმანი და შუამავალი გვჭირია! პირველად ჩვენ მელიანცის (მელაშვილი) საქართველოდამ და ქართულის მცოდნე გვეგონა. თურმე ერევნელი ყოფილა და ქართულიც, რასაკვირველია, არ ესმის, ე. ი. ჩვენ იმისი და იმას ჩვენი არაფერი გვეგებება. ამ გარემოებამ მალიან დაგვაღონა. ამომარჩიეს დეპუტატად და გამგზავნეს მისს უწმინდესობასთან კათალიკოზთან, რომელმაც მიმიღო და გვიქნა სიკეთე, შეგვპირდა მესამე მღვდელს განგიწესებთო, ე. ი. ხუციშვილს, ვითარცა ქართულის კარგად მცოდნეს. ჩვენდა საუბედუროდ, ამის შესახებ აქამდის არავითარი განკარგულება არ მომხდარა, და ზოგი მრევლთაგანი უზიარებელი რჩება, რადგან ვერ ღირსება აღსარებას ენის უცოდინარობის გამო. მამა მელიანცმა ამ ორის წლის განმავლობაში სხვათაც საკმაოდ დაამტკიცა თავისი უმეცრება და, სხვათა შორის, თვით ეკლესიურ წესთა შესახებაც. მაგალითად, ჩვენ, სომხებს, წესად გვაქვს დიდს მარხვაში აღდგომამდის ჯვარცმის საკურთხეველზე დასვენება. მელიანცმა ბრძანა, აიღეთო ჯვარცმა, ამის გამო ჩვენ, ზოგნი მრევლთაგანი, იძულებული ვიყავით წითელ პარასკევს კმთხვეოდით გარდამოხსნას მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა ეკლესიაში. ამას გარდა მამა მელიანცს არა სცოდნია ლოცვა „შარაკანი“. ამას უცოდინარი რაღა მღვდელია! 800 კაცმა ამირჩიეს,—იქებს თავს გაზეთ „მშაკში“ მამა მელიანცი, და თანხმეწედაც იმას ამოვირჩევ, ვინც მხებავსო. ჰო, და რატომ ისეთის მღვდლის არჩევას არ ისურვებს, რომ ათქმევინოს ერევლის დიდ-ძალ ნაწილს ქართულს ვასაგებ დედა-ენაზე აღსარება და არ მოაკლოს ზიარების წმიდა საიდუმლოს? თუ თანხმეწის ამორჩევა იმის ნებაზეა; მაშ რაღა ძალისი ყოფილა ეპარქიის უფროსი? თანხმეწედ ირჩევენ ხაკლებ მცოდნეს, რომ ხელმძღვანელობა გაუწიონ და უფრო გაამეცნიერონ. მამა მელიახცი აბა ვის გაამეცნიერებს, რომ ორი წლიწადია აქ ბრძანდება და „შარაკანი“ ვერ დაუსწავლია! ვიდრე მამა მელიანცს დანიშნავდნენ, მეც, ჩემდა საუბედუროდ, ხელი მოვაწერე მაგის ჩვენში მოძღვრად დანიშვნის თხოვნას, რადგანაც მაშინ აქ ხმები დაჰყარეს, რომ უმაღლესი სწავლა მიუღიაო, გიმნაზია და უნივერსიტეტი დაუსრულებიაო. ახლა-კი გამოჩნდა, რომ უნივერსიტეტისა და გიმნაზიის იმას არა სცხებია-რა: სწავლაზე ერთობ მწყრალად ბრძანებულა. ერევნის სასულიერო სასწავლებელი—აი, იმის სწავლის წყარო! ჩვენი ურიგოდ პატივცემული ეპარქიის უფროსი არქიეპისკოპოზი სურე-

[illegible]

სურვილის წინააღმდეგ უნდა იყოს ჩვენსკენ გადმოწესებული.

საქართველო ჩვენი სამშობლოა, კურთხეული ქვეყანა ჩვენ მამა-პაპათა და დედათა, რომელთაც ამ ქვეყნის ენა მიაჩნდათ დედა-ენად. ჩემს ოჯახში, თუმც ვიცი სომხური, დღესაც შინაური ენა ქართულია, რომელზედაც ვსაუბრობთ და ვწერთ და რომელიც გვიყვარს, როგორც ნამდვილი მშობლიური ენა. სიკერპე და ფანატიკოსობა რა საკადრისია ან რა ასარევია ერთმანეთში ეროვნობა და სარწმუნოება! ჩვენს ეპარქიას რად ჰქვიან „ქართლ-კახეთ-იმერეთის სომეხთ-გრიგორიანთა ეპარქია“, თუ ქართველობა და ქართული ენა აქ არაფერ შუაშია? ერევნელ და გუმბრელ სომხებს ზნედ გადაქცევიათ იერუსალემში სიარული ხელების დასადაღავად, რომ დაბრუნებისას ტრაბახით მიუმატონ სახელს მეტ სახელად „ჰაჯი“ და „მუღდუსი“ და ქვეყანაში გამოჰფინონ თავისი ღვთისნიერობა და პატივ-მოსილობა. ჩვენ, საქართველოს სომხები, ამას არ ჩავდივართ და არც იმის წინააღმდეგი ვართ, ოღონდ გვგონია, რომ ერუსალემის ბეჭედ დაუსმელადაც შეიძლება კაცი პატიოსან კაცად და კეთილ-ქრისტიანედ დარჩეს. მამა მელიანცი ასწავლიდა სომხურ სამღვთო სჯულს აქაურ სავაჟო გიმნაზიაში, მაგრამ მალე შესწყვიტა სწავლება, თუმც აქ 35 სომეხ-გრიგორიანი მოწაფე ირიცხება. ნეტა ვიცოდეთ, რა მიზეზმა მიანებებინა თავი მამა მელიანცს გიმნაზიაში სამღვთო სჯულის სწავლებისათვის. რამდენჯერმე შევეკითხე, მაგრამ არ მიგო პასუხი. თუ მთავრობამ იცნო უვარგისად და უნებურად აღებინა ხელი სწავლებაზე, რატომ სხვას არ გვინიშნავენ, რომელმაც, სხვათა შორის, ჩვენ მოზარდ თაობასაც ასწავლოს სჯული, როგორც სხვები ასწავლიან?

მიხეილ ვართიკოვი

---

### „ივერიის“ ფოსტა.

**ქ. ქუთაისი. ერთ მყოფ მებატონეთაგანს.** ხელ-მოუწერელ წერილებს რედაქცია წაუკითხავადა სტოვებს.

**ქ. წერ—ელი.** არ დაიბეჭდება, თვით მაგ ექიმის მთავრობას მიჰმართეთ.

**მეგრელს.** არ დაიბეჭდება.

**ქ. ს—დათ. რა—ძეს.** არ დაიბეჭდება, რადგან არავისათვის საყურადღებო არ არის ეგ ცნობები.

**დამსწრეს.** არ დაიბეჭდება.

**მ. გ. ნ—შვილს.** თქვენი პირველი წერილი არ დაიბეჭდება.

**მ. ბ—აძეს.** თქვენ წერილში „ბურები“ ახალი არაფერია, უკვე გვქონდა ეგ ცნობები ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი და უფრო დაწვრილებითაც.

**ბასილს.** რედაქციას ჯერ არ განუხილავს თქვენი „მოხუცი ზაქარია“.

**ქ. ქ—ხთ. ვ. რუ—აძეს.** ლექსები არ დაიბეჭდება.

**თ. რ—შვილს.** პოემა „მოსე“ არ დაიბეჭდება.

**ა. იაშვილს.** ალექსი გოგიაშვილის ლექსები არ დაიბეჭდება.

**გ. შრომიშვილს.** თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

**ბესიკო.** არ დაიბეჭდება.

**ქ. ბ—მი. დ. გ. ე—ბუას.** არ დაიბეჭდება.

**ფ—ნს.** არ დაიბეჭდება.

**ბრეთელს.** ხელ-მოუწერელს წერილებს რედაქცია არა ჰბეჭდავს.

**ფატის.** არ დაიბეჭდება.

**ფ—შვილს.** არ დაგვაბეჭდვინებენ.

**მიხ. სა—რელიძეს.** საზოგადო მნიშვნელობა არა აქვს.

**პარ. ნარს.** არ იბეჭდება.

**დ. სამტ—ია. „ვაჭარაგან“.** საპასუხოდ არა ჰღირს.

**ქ. ქ—სი. ქ. ნ—შვილს** არ დაიბეჭდება.

**აჟქ. აბ—ძეს.** არ დაიბეჭდება.

---


## განცხადებანი

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მისს საკრებულოში, 1900 წლის 28 **ივნისს** შუადღის 12 საათზედ,

**დანიშნულია ვაჭრობა**

რათა **იჯარით გაიცეს ქალაქის მიწის ნაჭერი**, რომელიც ტფილისის პოლიციის მე 7 ნაწილში იმყოფება, ავლაბრის აგარაკში, 23 დესიატინისაგან შესდგება და გამოსაყენებელია მხოლოდ გაჯის მოსაპოვებლად. ვისაც ამ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, პირობათა გასინჯვა შეუძლიან ქალაქის გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეს გარდა, დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე.

(3—6.—2)

---

გამოვიდა ახალი წიგნები:

ა) **უკვდავთა ღაღადებანი**
ფასი: ყდით 20 კაპ., უყდოთ 15 კ.

ბ) **ქართული მწერლობა მე X საუკუნემდე**, ფასი 40 კაპ.

გ) **Царица Тамара**, ფასი 50 კ.

დ) **Груз. обители внѣ Грузіи**, ფ. 25 კ.

ე) **Истор. груз. церкви**, ფ. 40 კ.

(20—უ.—8)

---



## რა უპირატესობა აქვს სხვა საზოგადოებასთან შედარებით
# ნიუ-იორკის
## საზოგადოებაში სიცოცხლის დაზღვევას?

**ის,** რომ ეს საზოგადოება ერთი უდიდესთაგანია და სანდოა დედამიწაზედ.

**ის,** რომ იმისი აქტივი 416,773,000 მანეთს აღემატება.

**ის,** რომ „ნიუ-იორკის“ საზოგადოება საერთო-ერთოა და იმისი თანხები და მოგებანი დაზღვეულთა საკუთრებას შეადგენს.

**ის,** რომ „ნიუ-იორკს“ საპატიო წარსული აქვს, 54 წელიწადი არსებობს, რომლის განმავლობაშიაც იმის საფინანსო ძალა და წარმატება პროგრესიულად იზრდება,

**ის,** რომ იმის პოლისები ნაღდი და ეჭვ შეუტანელია, თუ პრემია თავისს დროზედ იქნება მეტანილი, საზოგადოება დაუყოვნებლივ და უდავოდ იხდის დაზღვევის გადასახადს და, ამ რიგად, დამზღვევს სრული იმედი უნდა ჰქონდეს, რომ იმისი ქვრივი და შვილები ანუ კანონიერი მემკვიდრეები უდავოდ მიიღებენ თანხას.

**ის,** რომ იმისი პოლისი სამის წლის შემდეგ დაურღვეველი ხდება იმ შემთხვევაში, თუ შეჩერებულ იქმნა პრემიების გადახდა, დაზღვევის წინ-ხდილი თანხა მაინცა რჩება რამდენისამე წლის განმავლობაში უხარჯოთ, ანუ დამზღვევს შეუძლიან მიიღოს დაკლებულის ფასით სრულად ფას გარდახდილი პოლისი იმავე პირობებით, რა პირობებითაც პირველი პოლისი იყო, ანუ, დასასრულ, შეუძლიან ნაღდ ფულად მიიღოს პოლისის ფასი.

**ის,** რომ თუ პოლისი ძალაში იქმნება სამი წლის განმავლობაში მაინც, დამზღვევს შეუძლიან მიიღოს საზოგადოებისაგან სესხი ყლიურის 6%-საგან.

**ის,** რომ „ნიუ-იორკის“ საზოგადოება ისეთს პოლისებსაც იძლევა, რომლის ძალითაც, დაზღვეულის თანხის გარდახდის გარდა, მემკვიდრეებს დაუბრუნდებათ დაზღვევისათვის მეტანილი ყველა პრემია იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი გარდაიცვლება ხელ-შეკრულობით დადებულ ვადის—10, 15 ან 20 წლის,—განმავლობაში.

**ის,** რომ „ნიუ-იორკის“ საზოგადოებას სამუდამოდ წინდად შეტანილ 500,000 მანეთის გარდა, საპერმიო ფული რუსეთში დაზღვეულთა დასაკმაყოფილებლად შეაქვს სახელმწიფო ბანკში. ამ ჟამად განსაკუთრებული ფონდი მენახულის ფულისა „ნიუ-იორკის“ საზოგადოებაში იმ დაზღვეულთა, რომელნიც რუსეთში სცხოვრობენ, 9,053,000 მანეთს აღემატება.

**ის,** რომ „ნიუ-იორკის საზოგადოების მოქმედება რუსეთში რუსეთის მთავრობის კონტროლის ქვეშ იმყოფება, ასე რომ პოლისები ყოველის მხრით უზრუნველ ყოფილია.

**ის,** რომ ყველა დასახელებულ პირობათა გამო, „ნიუ-იორკის“ საზოგადოების პოლისი არც ხარჯს შეადგენს და არც მეტ რასმეს დამზღვევისათვის: იგი საუკეთესო ქონებაა, რომელიც ყველას შეუძლიან დაუტოვოს თავისს ოჯახს, რადგანაც იგი შეიძლება ფულად იქმნას გარდაქცეული და ისეთ დაბრკოლებას აცილებულია, როგორიც მიწის ან უძრავ ქონების რეალიზაციის დროს ხდება, და აგრეთვე ბირჟის ცვალებადობას არ ექვემდებარება.

**ის,** რომ „ნიუ-იორკის“ საზოგადოება ერთად ერთი დაწესებულებაა, რომელიც აზღვევს სიცოცხლეს ყველა ზემოდ დასახელებულ უპირატესობით.

მთავარი გამგეობა რუსეთისათვის: პეტერბურგი, მალაია მორსკაია, 12.

საზოგადოების საქმეთა მთავარი გამგე რუსეთში **პ. პ. მელლერია.**

განყოფილება ტფილისში: გოლოვინის პროსპექტი, ახალი სახლი არაფელოვისა (კადეტის კორპუსის პირდაპირ)

(12-.50—8)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 17-го Іюня 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე